დანართი N1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
რევაზ სირაძის სახელობის სტიპენდიის მინიჭების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) **რევაზ სირაძის** სახელობის სტიპენდია (შედგომში - ,,სტიპენდია“) ენიჭება უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის (შემდგომში - ,,ფაკულტეტი“) ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ერთ სტუდენტს, ყოველწლიურად.

2. სტიპენდიის დაწესების მიზანია ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთა წახალისება.

მუხლი 2. სტიპენდიის მინიჭების პირობები

1. სტიპენდია გაიცემა წინა სასწავლო წლის შედეგების გათვალისწინებით და კონკურსის გზით გადაეცემა იმ სტუდენტს, რომელიც გამოირჩევა განსაკუთრებული მიღწევებით ძველი ქართული ლიტერატურის სამეცნიერო შესწავლის სფეროში

2. ერთი და იმავე პირს სტიპენდია შეიძლება მიენიჭოს მხოლოდ ერთხელ.

3. სტიპენდია არ გაიცემა:

ა) ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის პირველი სემესტრის სტუდენტზე;

ბ) დამატებითი სემესტრის სტუდენტზე;

გ) სტიპენდიის მინიჭების წელს მობილობით გადმოსულ სტუდენტზე;

დ) წინა კალენდარულ სემესტრში სტატუსშეჩერებულ სტუდენტზე;

ე) სტიპენდიის მინიჭების წელს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის/შეჩერების შემთხვევაში (ამ შემთხვევაში უნივერსიტეტი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება გაუცემელი თანხის სხვა სტუდენტისთვის სტიპენდიის სახით დანიშვნის თაობაზე).

მუხლი 3. სტიპენდიატის შერჩევის წესი

1. სტიპენდიით დაფინანსებისათვის კანდიდატთა შერჩევას ახორციელებს სტიპენდიის მიმნიჭებელი კომისია. კომისია იქმნება ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით, რექტორის ბრძანებით.

2. სტიპენდიით დაფინანსებისათვის შესარჩევ კანდიდატთა შეფასება განხორციელდება:

ა) აკადემიური მოსწრებით (გამოითვლება სტუდენტის მიერ უნივერსიტეტში წინა კალენდარულ სემესტრებში სასწავლო კურსებში მიღებული შეფასების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით (GPA არანაკლებ 3.5-ისა).

ბ) ძველი ქართული ლიტერატურის სფეროში სამეცნიერო სტატიით (გამოქვეყნებული/დასაბეჭდად გადაცემული ნაშრომები).

3. კანდიდატების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ამ მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა“ და ,,ბ“ ქვეპუნქტებთან შესაბამისობისა და სტიპენდიის გაცემის თაობაზე დასკვნას ამზადებს კომისია.

4. სტიპენდიის მოსაპოვებლად კონკურსი ცხადდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

5. სტიპენდია ინიშნება კომისიის წარდგენის საფუძველზე ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.

6. სტიპენდია გაიცემა ყოველწლიურად 10 თვის განმავლობაში, თვეში 100 ლარი (საშემოსავლოს ჩათვლით).

7. სტიპენდია ინიშნება გიორგი ზვიადაძის ინიციატივით და მისივე დაფინანსებით.

8. სტიპენდიისათვის განკუთვნილი თანხა კონკრეტული სასწავლო წლის კონკურსის გამოცხადებამდე სრულად ერიცხება უნივერსიტეტს, რათა უზრუნველყოფილი იქნას სტიპენდიის მოსაპოვებლად კონკურსის გამოცხადება და სტიპენდიანტისათვის შესაბამისი ოდენობის სტიპენდიის ყოველთვიური ჩარიცხვა.